გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

თელავის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

   ქ. თელავში მზის ფოტოელექტრონული სისტემის სკამების მოწყობა; ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება.

2. **თემატიკა:**

   საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობა და განვითარების პროექტებისთვის საერთაშორისო დაფინანსების მოძიების წარმატებული გამოცდილება; (12)

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

   თელავის მუნიციპალიტეტის მერია

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

თელავის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და კახეთის რეგიონის მუნიციპალურ ცენტრს წარმოადგენს. მისი ფართობი 1095 კმ^2 -ია, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 38 576 ჰა უჭირავს. თელავის მუნიციპალიტეტი აერთიანებს ქალაქ თელავს და 29 სოფელს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2020 წლის საქსტატის მონაცემებით 55 300 ადამიანს შეადგენს. მათ შორის, 35 700 - სოფლად ცხოვრობს, 19600 ადამიანი კი - ქალაქ თელავში. აღსანიშნავია თელავის სიახლოვე საქართველოს დედაქალაქ თბილისთან. თელავის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ახმეტის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტნის რესპუბლიკა, აღმოსავლეთით ყვარლის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის მიწების დიდი ნაწილი უჭირავს ფართოფოთლოვან ტყეებს.

საქსტატის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით (მოსახლეობა - 58 347 ადამიანი). ასაკობრივი თვალსაზრისით, 65 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 6 337- ია, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 16%-ს შეადგენს; შრომისუნარიანი მოსახლეობა (18-64 წლის) 36 576 ადამიანია - საერთო რაოდენობის 63%; 18 წლამდე მოსახლეობის წილი კი 21%-ია (7 893 ადამიანი).

თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტების რაოდენობა 2019 წელს - 1420), ხოლო პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“ და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტების რაოდენობა 2019 წელს - 445).

ეკონომიკის დარგებიდან წამყვანი როლი უკავია ტურიზმს. თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს 33 სასტუმრო (2560 საწოლი) და 65 საოჯახო ტიპის სასტუმრო (900 საწოლი).

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, თელავის მუნიციპალიტეტში ეკონომიკის დარგებიდან წაყვანი როლი უკავია ტურიზმს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ქალაქის კულტურულ საგანმანათლებლო როლის გაძლიერება, და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. თელავი კახეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის სიახლოვე დედაქალაქთან. თელავის მუნიციპალიტეტი დამეგობრებულია ევროპის ქვეყნების ქალაქებთან და მათთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების პროექტებს.

თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელსაც საკმაოდ დიდი ინფრასტრუქტურა გააჩნია. აღნიშნულ უნივერსიტეტში 2018 წლის მონაცემებით სწავლობს 1420 სტუდენტი. 2018 წლის მონაცემებით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, მუნიციპალიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟი“. ასევე, თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ტექნოპარკი, სადაც თანამედროვე ინოვაციური პროექტების შესახებ მუდმივად შესაძლებელია ინფორმაციის მიღება და პრაქტიკაში დანერგვა.

მუნიციპალიტეტში შეინიშნება მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია. შრომისუნარიანი მოსახლეობა მასობრივად გადის საქართველოს სხვა ქალაქებში (ძირითადად თბილისში) და საზღვარგარეთ. აღნიშნული ფაქტი უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე, ასევე კვალიფიციურ მუშახელზე. მუნიციპალიტეტს ტოვებენ ახალგაზრდებიც, შედეგად იკვეთება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია (განსაკუთრებით სოფლად).

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების მატება, სოციალური ფონის გაუმჯობესება და მიგრაციული პროცესების მართვა.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში მნიშვნელოვნად გაიზარდა გაჯეტების როლი, რაც ამარტივებს საჭირო ინფორმაციის მიღებას და კომუნიკაციის დამყარებას სხვადასხვა სტრუქტურებთან.

თელავის მუნიციპალიტეტში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებაზე. პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის ნაკადების მართვა, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ხდება ისტორიული ფაქტების დამახინჯება. ბიბლიოთეკის ფუნქცია ნაწილობრივ შეითავსა ელექტრონულმა სივრცემ, სადაც განსაკუთრებით ახალი თაობა ატარებს თავისუფალი დროის დიდ ნაწილს. აუცილებელი გახდა ელექტრონულ სივრცეში განთავსდეს ისეთი დამუშავებული ინფორმაცია, რაც წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ კულტურულ ღირებულებებს და ხელს შეუწყობს მისი ცნობადობის გაზრდას. მსგავსი სერვისი უმნიშვნელოვანესია ასევე ქალაქის ისტორიით დაინტერესებული ტურისტთა მზარდი ნაკადისთვის.

მუნიციპალიტეტში შეინიშნება მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია. შრომისუნარიანი მოსახლეობა მასობრივად გადის საქართველოს სხვა ქალაქებში (ძირითადად თბილისში) და საზღვარგარეთ. აღნიშნული ფაქტი უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე, ასევე კვალიფიციურ მუშახელზე. მუნიციპალიტეტს ტოვებენ ახალგაზრდებიც, შედეგად იკვეთება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია (განსაკუთრებით სოფლად).

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების მატება, სოციალური ფონის გაუმჯობესება და მიგრაციული პროცესების მართვა.

თელავის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას - „მერების შეთანხმება-კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“, რომლის ფარგლებშიც, იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს სითბური აირების ემისიების შემცირებას ენერგოეფექტურობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით და კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.

ქალაქ თელავის რეგიონული ურბანული ცენტრის განვითარებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური როლის გაძლიერების მიზნით ევროკავშირის წარმომადგენლებსა და თელავის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით შემუშავდა ერთობლივი პროექტი. პროექტის თანახმად, განსაზღვრულია ქალაქ თელავში 14 ლოკაციაზე მზის ფოტოელექტრონული სისტემის სკამების მოწყობა და ქ. თელავის ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების დამზადება და 2 ერთეული QR კუბის დამზადება.

განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტის ფარგლებში ქალაქ თელავის ორ ლოკაციაზე განთავსა QR კუბები, სადაც სპეციალურ კონსტრუქციაზე, ლაზერით , მაღალი გარჩევადობით UV ტექნოლოგიით დაიბეჭდა სამი QR კოდი, რომელიც დაკავსირებულია სოციალურ მედიას, კოდების საშუალებით შესაძლებელია როგორც ისტორიული ძეგლების შესახებ ინფორმაციის მიღება, ასევე ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა და რეგიონულ ცენტრში არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

პროექტის ფარგლებში 14 ტურისტულად აქტიურ ლოკაციაზე განთავსდა მზის ფოტო ელექტრონული სკამები, სადაც ქუჩის პირობებსი, დღე-ღამის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონების და ელექტრო მოწყობილობების უსბ როზეტი შესაერთებელი, უფასო WiFi. დამტენ სკამს აქვს ლედ დიოდის სისტემის განათება, სარეკლამო სივრცე ე.ე. ლაითბოქსი, სადაც განთავსდა ორმხრივად ტურისტული რუკა, QR კოდები.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

საწყის ეტაპზე მოქალაქეების მიერ შემოსული წინადადებების გათვალისწინებით შემუშავდა პროექტის იდეა და წარედგინა საკრებულოს მოსაწონებლად ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარდგენის მიზნით.

პროექტის მოწონების შემდეგ თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და ევროკავშირის წარმომადგენლებს შორის დამყარდა მჭიდრო კომუნიკაცია და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები:

- **თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სატენდერო წინადადების მომზადება და შემსრულებელი კომპანიის შერჩევა.**
- **ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ჩასატარებელი სამუშაოები:**
- არსებული ბაზების განახლება და ინფორმაციის დამუშავება;
- ფოტოგადაღება, სოციალური მედიის დამზადება;
- არსებული ინფორმაციის თარგმნა;
- განახლებული ბაზის და ინფორმაციის ელექტრონულ სივრცეში განთავსება;
- განახლებული ბაზის მიხედვით QR კოდების დამზადება;
- ისტორიულ ძეგლებსა და საინფორმაციო დაფებზე QR კოდების გადატანა;
- QR კუბების დამზადება და ორ ლოკაციაზე მონტაჟი.
- 14 მზის ფოტოელექტრონული სისტემის სკამების მოწყობა;
- **მიღება -ჩაბარებების აქტების გაფორმება და ანგარიშსწორება.**

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი**

- „მერების შეთანხმება- კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“;
- საკრებულოს განკარგულება პროექტის მოწონების შესახებ;

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

  აღნიშნულ პროექტში აქტიურად არიან ჩართული პროექტის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები: ადგილობრივი მოსახლეობა, ქალაქის ახალგაზრდები, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტი, თელავის ისტორიით და არქიტექტურით დაინტერესებული პირები.

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

  ევროკავშირის კონტრიბუცია - 279 065.69 ლარი.
  მუნიციპალური თანადაფინანსება - 2818.85 ლარი

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქის მომართვის საფუძველზე. ასევე ახალგაზრდების ჯგუფთან კონსულტაციების შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქის ყველა ისტორიულ ნაგებობაზე განთავსდეს QR კოდი, ხოლო აქტიურ ურბანულ ტერიტორიებზე QR კუბები და ფოტო ელექტრული სკამები;

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

  პროექტმა უზრუნველყო თელავის, როგორც რეგიონული ცენტრის ინტეგრირებას და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე კულტურულ საგანმანათლებლო არეალის განვითარება. გაზარდა მუნიციპალური ელექტრონული საინფორმაციო სერვისების დიაპაზონი და ამ ინფორმაციაზე საზოგადოების ფართო ფენების ხელმისაწვდომობა. თელავის ისტორიულ უბანში საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებით გაჩნდა ახალი მიზიდულობის ადგილები;

  პროექტი თავსებადია სრიგპ-ის პრიორიტეტის 1.1 ბ ქვე-პროგრამასთან:
  1.1 ბ. რეგიონული ცენტრის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარება:
  - საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობ, ქუჩებისა და მიმდებარე შენობების განახლება, ძეგლების, შადრევნების, ბავშვებისთვის სათამაშო მოედნების, რეკრეაციული ობიექტების მოწყობა და ა.შ.

7. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:
(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ქალაქ თელავის როგორც რეგიონული ურბანული ცენტრის განვითარებას და მის სოციალურ ეკომნომიკური როლის გაძლიერებას.

- გაიზარდა რეგიონული ცენტრის ხელმისაწვდომობა, ქალაქის კულტურული, ისტორიული და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების ხელმისაწვდომობა;
- გაუმჯობესდა მუნიციპალური ელექტრონული საინფორმაციო სერვიები.
- ქალაქ თელავში ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე განთავსებული QR კოდები .
- ქალაქ თელავის 14 ლოკაციაზე მოეწყო მზის ფოტოელექტრონული სისტემის სკამები.

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- საზოგადოების და დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობა პროექტის დაგეგმვის ეტაპზე;
- მუნიციპალიტეტის რესურსების და შესაძლებლობების სწორი შეფასება და გამოყენება;
- განხორციელების გზების დაგეგმვა და სიტუაციის ზუსტი ანალიზი;
- ღონისძიებების თანმიმდევრულობა და სისტემური მონიტორინგი;

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);
  პროექტი სრულ შესაბამისობაში ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან. QR კოდებით, QR კუბებითა და მზის ფოტო ელექტრონული სკამებით სარგებლობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომს ხდის შეუფერხებლად მიიღონ სერვისები როგორც შშმ პირებმა ასევე ხანდახმულებმა და ახალგაზრდებმა.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

- პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარებას, მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისებით გაუმჯობესებას, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.
- გამომდინარე იქიდან, რომ სკამები მუშაობს მზის ენერგიაზე, არ გამოიწვია დამატებითი ხარჯის გაღება მუნიციპალიტეტის მხრიდან.
- იდეის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა ახალგაზრდების ინიციატივა, მსგავსი დანიშნულების სკამების განთავსების შესახებ.
- პროექტი შეტანილია მიმდინარე წლის ბიუჯეტში, რომლის განხორციელების დასრულების სავარაუდო თარიღი 2023 წლის პირველი კვარტალია.

9. საკრებულოს როლი:

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
  თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები აქტიურად თანამშრომლობდნენ მერიის მიერ პროექტის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე, გამოთქვამდნენ რეკომენდაციებს და მოსაზრებებს, რაც გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტებში. საკრებულომ დაამტკიცა ერთხმად მოიწონა პროექტი და დაამტკიცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი პროექტის თანამონაწილეობის წილის გათვალისწინებით;
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
  საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისთვის პროექტის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული პროექტის შეფასების ინდიკატორები და მდგრადობა.

- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**
  საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოწონებულ იქნა ინიციატივა პროექტის საკონკურსოდ წარდგენის შესახებ.

10. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

პროექტის განხორციელების შემდეგ, გამოიკვეთა აუცილებლობა, მსგავსი სკამების განთავსდეს თელავის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში. ამასთანავე, გაიზარდა დაინტერესებული მოქალაქეების მხრიდან ზეპირი მომართვა და თხოვნა, აღნიშნულის სკამების სხვა ლოკაციებზე, მათ შორის სოფლებში განთავსების თაობაზე, თელავის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში, რის შემდეგაც თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა მუნიციპალიტეტის 22 სოფელში განათავსოს ენერგოეფექტური სკამები. მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული საკითხი, გამოცხადდა ტენდერი და დაწყებული მუშაობა დამატებით სკამების განთავსებასთან დაკავშირებით.

11. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
-
  ნელი აბეჩხრიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი .
  ტელ: 599 56 02 83
  ელ.ფოსტა: abechkhrishvilin@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

  ლიკა ალადაშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი.
  ტელ: 577 95 19 41

ელ. ფოსტა: likamebonia@gmail.com

12. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

- საკრებულოს განკარგულება პროექტის მოწონების შესახებ;
- საკრებულოს განკარგულება ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტის მოწონების შესახებ.
- პროექტი
- ფოტო; ენერგოეფექტური სკამები ; QR კოდები თელავში

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 20 ოქტომბერი- 28 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge ან ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge